

ინტეგრალური რესურსების მართვის ოპტიმიზაცია - მდგრადი განვითარების საფუძველი

გივი თალაკვაძე

ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილების გამგე

მსოფლიოში ინტენსიურად ყალიბდება სრულიად ახალი და უპრეცედენტო რეალობა.

გაერო-ს გენერალური მდივნის, ანტონიო გუტიერეშის თქმით, დედამიწაზე „სიგიჟის ქარი“ ქრის. მისივე აზრით, შესაძლოა, ყველაფერი კიდევ უფრო გაუარესდეს.

„ექვგარეშეა, ხალხს ბევრი რამ აქვს სათქმელი. არეულობა ქუჩებსა და მოედნებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით იმას ნიშნავს, რომ ხალხს უნდა, მათ მოუსმინონ. მათ უნდათ, რომ მსოფლიო ლიდერებმა მათ ღელვას უპასუხონ და ეფექტიანად იმოქმედონ“-განაცხადა გუტიერეშმა.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებსა და გარემოს დაცვის საკითხებზე ისაუბრა.

„ადრე მე იმედის ქარზე ვისაუბრე, მაგრამ დღეს მსოფლიოში „სიგიჟის ქარი“ ჰქრის.

დაწყებული ლიბიიდან იემენამდე, სირიამდე და მის მიღმა ესკალაცია დაბრუნდა... ყველა სიტუაცია განსხვავებულია, მაგრამ მზარდი არასტაბილურობა და დამაბულობა ყველაფერს განუსაზღვრელად და უკონტროლოდ აქცევს. დიდი რისკია, რომ ველარც გავთვალოთ რა შეიძლება მოხდეს. როგორც ხედავთ, ერთი პრობლემა მეორეს კვებავს“- აღნიშნა გუტიერეშმა.

2020 წელი კაცობრიობის ისტორიაში შვევა, პანდემია „კოვიდ-19“-ის სახელით. მაგრამ მიუხედავად მისი გრანდიოზული მასშტაბისა და გლობალურ ეკონომიკასა და ადამიანთა ფსიქიკასა და მსოფლხედვაზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედებისა, უფრო მართებულია ჩავთვალოდ ის მხოლოდ ერთ ცალკეულ ეპიზოდად იმ უპრეცედენტო პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობენ მსოფლიოში.

არც ის არის შემთხვევითი, რომ გლობალიზაციისა, ანუ ერთიანი სივრცის, რომელსაც არ გააჩნია ტრადიციული ბარიერები და საზღვრები, ყველაზე თანამიმდევრულ ძირითად პროპაგანდისტებად, ადეპტებად, გამოდიან სწორედ მაღალგანვითარებული ქვეყნები, უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები, თვისობრივად სრულიად ახალი ტიპის კონგლომერატები (FAGMA¹, IC&V²) და სხვა), 1)კომპანიების Facebook, Amazon, Google, Microsoft და Apple სახელების პირველი ასოებისგან შედგენილი აბრევიატურა. ექსპერტების შეფასებით, 2019 წელს მათი ჯამური კაპიტალიზაცია 6 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა, ხოლო უახლოეს 3-4 წელიწადში, სავარაუდოდ, 10 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

2) 2019 წლის ნოემბერში, ქალბატონ ლინ დე როტშილდის ინიციატივით შექმნილი **Inclusive Capital Partners** (ICP) საბჭო, რომლის პარტნიორები არიან: Rockefeller Foundation, Ford Foundation, Johnson & Johnson, Estée Lauder, IBM, Lenovo, EY, Mastercard, Dupont, Allianz SE, TIAA, State Street Corporation და სხვა წამყვანი კომპანიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. ტერმინმა „ინკლუზიური კაპიტალიზმი“ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. მას იყენებენ სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ახლანდელი აშკარად მოძველებული და დაავადებული კაპიტალიზმიდან "ინკლუზიურ კაპიტალიზმზე" გადასვლის პროცესის დასახასიათებლად. „ინკლუზიური კაპიტალიზმის“ დამფუძნებელთა აზრით, ეს არის კაპიტალიზმის ისეთი ნაირსახეობა, რომელშიც დომინირებენ გიგანტური კორპორაციები (FAGMA-ს ტიპის), რომელთა მახანია იმ პასუხისმგებლობების აღება, რაც დღეს სახელმწიფოებს აკისრია. საგულისხმოა, რომ 2020 წლის 14 დეკემბერს ქალბატონი ლინ დე როტშილდი ნიუ-იორკში რომის პაპს ფრანცისკე I-ს შეხვდა. ICP კოალიციამ ვატიკანთან დადო შეთანხმება ვატიკანთან ერთობლივად „ინკლუზიური კაპიტალიზმის საბჭოს“ (CICV) შექმნის გზით კაცობრიობის ინკლუზიური კაპიტალიზმის ლიანდაგზე გადაყვანის ერთობლივი ძალისხმევის შესახებ.

რომლებიც ქვეყნების სუვერენიტეტების, დამოუკიდებლობის ხარისხის შესუსტებაში ხედავენ საკუთარი ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სოციო-კულტურული ექსპანსიის განხორციელების ძირითად პირობას.

თანამედროვე მსოფლიოში უკვე გაჩნდა და ამჟამად ინფორმაციული, საფინანსო, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ტექნოლოგიები, რომელთაც უნარი აქვთ სერიოზული ზიანი მიაყენონ ეროვნულ სუვერენიტეტებს იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ადამიანთა ცხოვრების საფუძვლებს, მათი არსებობის უზრუნველყოფელ საშუალებებს, მათ უსაფრთხოებას.

კაცობრიობას ჯერ კიდევ არ აქვს სრულად გააზრებული გლობალიზაციის მოკლევადიანი და განსაკუთრებით, გრძელვადიანი მოსალოდნელი შედეგები.

არ აქვს გააზრებული ის, რომ მის წინაშე დილემაა - ან გადავიდეს თავისი არსებობის თვისობრივად ახალ ორბიტაზე - ახალ მომავალში, ან დარჩეს, საერთოდ, ყოველგვარი მომავლის გარეშე³⁾ (3)ალექსანდრ პანარინი, "ხალხი ელიტის გარეშე: სასოწარკვეთილებასა და იმედს შორის", ჟურნალი «Наш Современник» №11, 2001).

ყოველ შემთხვევაში, კარგად არის ცნობილი რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ კაცობრიობის მომავალი უკვე ვეღარ იქნება თანამედროვეობის დამახასიათებელი პარამეტრებისა და მაჩვენებლების უბრალოდ, მექანიკური გაზრდა და გაუმჯობესება.

ამ მიზეზთა შორის პირველია - ზრდის „ეკოლოგიური“ საზღვრები და შეზღუდვები.

მეორე - ზნეობრივ ფასეულობათა არსებითი ტრანსფორმაციის ტენდენციები, რის საფუძველი გახდა სულ უფრო და უფრო მომძლავრებული პრაგმატიზმი ადამიანების საქმიანობისა და ყოფის ყველა სფეროში.

მესამე - მკაფიო და მზარდი სოციალური პოლარიზაცია, კაცობრიობის ადაპტირებულ (წარმატებულ) და არადაპტირებულ (წარუმატებელ) ნაწილებს შორის.

მეოთხე - კონფლიქტური დამოკიდებულება და აგრესია ხანდაზმული ადამიანებისადმი, რაც უკვე დაუფარავი ფორმებით ხორციელდება და რომლის დასტურად გამოდგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეგიდით მ.წ. აპრილში

ვამინგტონში დაგეგმილი სამიტი, რომელიც, როგორც მისი ორგანიზატორები აანონსებენ, მიეძღვნება „**გადამეტებული“ დღეგრძელობისა** და მსოფლიოს მოსახლეობის ასაკოვან ნაწილთან დაკავშირებული პრობლემების **გადაწყვეტის** (კურსივი ჩემია - გ.თ.) თემას.

2021-2022 წლებში მოხდება იმ საკვანძო ვექტორების გამოკვეთა და ჩამოყალიბება, რომლებიც საფუძველს ჩაუყრიან ტრადიციულისგან **განსხვავებულ ცნობიერებას, აზროვნებას და პრაქტიკას.**

ამავე დროს ცხადი ხდება რომ მეოცე საუკუნისთვის დამახასიათებელი ზოგადი მსჯელობები, დისკუსიები და თეორიები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე **კარგავს თავის აქტუალობას და რეალიზაციის პერსპექტივებს..**

წინა პლანზე გამოდის **რადიკალური პრაგმატიზმი**, რომელიც უახლოესი 20—25 წლის განმავლობაში კაცობრიობის სტაბილური საარსებო პირობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების, მდგრადი გლობალური და რეგიონული განვითარების უმთავრესი ფაქტორი გახდება.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და პროგრამები უკვე მკაფიოდ და უაპელაციოდ მოითხოვენ **ლაკონურობას, კონკრეტულ და მკაფიო შინაარსსა და რეალიზაციის დინამიურ და საიმედო სქემებს.**

ასეთ პირობებში, უმთავრესი ამოცანაა, რომ გლობალური პროცესების ძირითადი აქტორების ინტერესები და მიზნები **წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ადამიანების ძირითად ინტერესებსა და მიზნებთან.**

მიმდინარე და მომავალი გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, ცალკე აღებული ქვეყნის, თუნდაც საქართველოს მაგალითზე, შესაძლებელია განხილულ იქნას განვითარების მთავარი ორიენტირები, პრიორიტეტები, რაციონალური სარესურსო პოლიტიკის საკვანძო ასპექტები.

შესაძლოა, რომ საქართველოს თავისებურებებთან დაკავშირებული ზოგიერთი მოსაზრების ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების მოდელზე სრულყოფილად გადატანა ვერ მოხერხდეს, თუმცა, **განვითარების ძირითადი ფაქტორები, რომელთაც უნივერსალური ხასიათი გააჩნიათ, თავის ძირითად შინაარსს შეინარჩუნებენ.**

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ბოლო 30 წლის მანძილზე განვითარებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა **განაპირობა ის, რომ 1991 წლიდან დღემდე მოქმედმა ვერცერთმა ხელისუფლებამ, სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის პარტიებმა და მოძრაობებმა, მრავალრიცხოვანმა საზოგადოებრივმა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ვერ შესთავაზეს საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის განვითარების მკაფიო და დასაბუთებული პროგრამა, რომლის საფუძველი საქართველოს ინტეგრალური რესურსები, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მისი უნიკალური კულტურისა და ისტორიის აღიარება და დღევანდელ თაობათა უკეთეს საქართველოში ცხოვრების მტკიცე ნება და სურვილი იქნებოდა⁴⁾ (4)გივი თალაკვაძე, „30 წელი“, „ნეკერი“, თბილისი, 2020).**

ასეთი ვითარების მიუხედავად, საქართველოს ჯერ კიდევ შეუძლია ტრანსფორმირდეს უპრეცედენტო ინოვაციურ პოლიგონად, პირდაპირი მსხვილი ინვესტიციების, პრინციპულად ახალი საგადასახადო რეჟიმებისა და საერთაშორისო და სუვერენული

გარანტიებით უზრუნველყოფილი პროექტების კომპლექსური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის სივრცედ.

საქართველოს ინტეგრალური რესურსები.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი პერიოდი, განსაკუთრებით კი 1991-2012 წლები, შეიძლება შეფასდეს მაღალი ეროვნული პოტენციალის არასაკმარისად გამოყენების ხანად, რამაც ქვეყნის ეკონომიკის დეგრადაცია, საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დროებითი დაკარგვა, მოსახლეობის თითქმის მესამედით შემცირება გამოიწვია.



აღნიშნულ პერიოდში საქართველოში განადგურდა მრავალი სამრეწველო ობიექტი და დარგი, ფაქტობრივად შეწყდა ადგილობრივი სანედლეულო ბაზის კომპლექსური ათვისება, არარაციონალურად გამოიყენებოდა საექსპორტო პოტენციალი, არასისტემური ხასიათი მიიღო უახლესი ტექნოლოგიების დანერგვამ.

ბოლო პერიოდში მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად (შეწყდა მოსახლეობასა და ბიზნესზე უსამართლო და ძალადობრივი ზემოქმედება, აღმავალი ხასიათი მიიღო ევროკავშირთან და რიგ საკვანძო ქვეყნებთან, პირველ ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებმა), ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნია საკუთარ რესურსულ პოტენციალზე დაფუძნებული კომპლექსური სამოქმედო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკის მდგრად განვითარებას, ევროკავშირთან ინტეგრაციის გაღრმავებას, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

განვითარების ასეთი პროგრამის შემუშავებისა და წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ქვეყნის ინტეგრალური რესურსული პოტენციალის (ბუნებრივი, ადამიანური, კომუნიკაციური, საინფორმაციო, ისტორიულ-კულტურული, საინვესტიციო, გეოსტრატეგიული და სხვ.) ოპტიმალური გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევები მიმდინარეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კერძოდ ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა აღნიშნული ცენტრის მიერ მომზადებულ კაპიტალურ ნაშრომებში, მათ შორის ორტომეულში - „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“ (2015 წ.).

საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ მკაფიოდ დასვა მნიშვნელოვანი ამოცანა - განხორციელდეს პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოხდება საქართველოს ინტეგრალური რესურსული პოტენციალის დაზუსტება და ანალიზი, რაც საფუძვლად დაედება მისი მაღალეფექტიანი გამოყენებისა და მართვის სრულყოფილი სისტემის შექმნას. პროექტს ეწოდება „საქართველოს ინტეგრალური რესურსები - კვლევა, ანალიზი, პროექტები“ (ნახ.1).



1. ბუნებრივი კომპონენტების (მინერალური, კლიმატური, წყალი, მცენარეული, ცხოველური, ნიადაგის)
2. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების (სამთო სამრეწველო, წყალთა მეურნეობის, სატყეო, სელიტიბური)
3. ინდუსტრიული (ენერგეტიკული, არა ენერგეტიკული)
4. აგრარული (აგროკლიმატური, საკვები ბაზის, ირიგაციული,)
5. საწარმოო
6. პოტენციალური
7. რეკრეაციული

- I. საინფორმაციო-ანალიტიკური
- II. კომუნიკაციური
- III. საინვესტიციო
- IV. გეოსტრატეგიული
- V. მართვის ოპტიმიზაციის
- VI. პროგნოსტიკული
- VII. ისტორიულ-კულტურული
- VIII. რელიგიური
- IX. გენეტიკური
- X. მსოფლხედვითი
- XI. საცხოვრისის
- XII. ინოვაციური
- XIII. ადაპტაციის

პროექტის ფარგლებში იგეგმება:

- საქართველოს ინტეგრალური რესურსების სტრუქტურული კლასიფიკაცია და მისი სარესურსო კატეგორიების იდენტიფიცირება;
- თითოეული სარესურსო კატეგორიისათვის გამოყენების ტრადიციული და ახალი არეალების ანალიზი;
- რესურსების არსებული პოტენციალის სრულყოფილი აღწერა;
- ინტეგრალური რესურსების განსაკუთრებული კატეგორიის - „პარციალური“ რესურსების არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერება და ამ ტიპის რესურსების ჩართვა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად;
- ქვეყნისთვის პრიორიტეტული რესურსების რანჟირება საინვესტიციო მიმზიდველობის მიხედვით;
- მაღალი საქსპორტო პოტენციალის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მართვის ბიზნეს-სქემების შემუშავება;

პროექტში გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტუალური პრობლემების განხილვა, როგორცაა:

- ინოვაციური ინდუსტრიული და აგრარული პროფილის კლასტერების შექმნა;
- რეგიონების სარესურსო პოტენციალის ციფრული დინამიური პლატფორმების შემუშავება;
- შავი ზღვა - მდგომარეობა, რისკები, პოტენციალი, პერსპექტივები;
- ენერჯის ალტერნატიული წყაროები საქართველოში - ანალიზიდან ათვისებამდე;
- საქართველო - გლობალური მასშტაბის რეკრეაციული რეგიონი;
- საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების გზები;
- მსხვილი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდი პირობების ფორმირება.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული მსგავსი თემატიკისაგან წინამდებარე პროექტის განმასხვავებელი თავისებურება არის ის, რომ პირველად მოხდება ერთიან კომპლექსურ პროექტში ყველა კატეგორიის (და არა მხოლოდ მისი რომელიმე ცალკეული სახის) რესურსის სრული დახასიათება, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირებულობის დონის ანალიზი, შემუშავდება რეკომენდაციები რესურსების რაციონალურად გამოყენების და მართვის ოპტიმალური მოდელების შესაქმნელად.

პრინციპულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ თითოეული პრიორიტეტული სარესურსო ერთეულის ათვისებისა და გამოყენების ბიზნეს-სქემის შემუშავება, რაც განსაკუთრებულ როლს შეასრულებს საინვესტიციო უზრუნველყოფის მიზანშეწონილობისა და ინვესტიციის რენტაბელობის დონის პროგნოზირებაში.

პროექტის მართვა და რეალიზაცია წარმოგვიდგენია შემდეგნაირად:

პროექტის პატრონაჟი - საქართველოს მთავრობა;

სათავო ორგანიზაცია - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

პროექტის ძირითადი შემსრულებელი და კოორდინატორი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი;

პროექტის მომზადების სავარაუდო ხანგრძლივობა: 3 წელი;

აღნიშნული პროექტის წარმატებული განხორციელების შემთხვევაში, მივიღებთ რიგი თანამედროვე გამოწვევების ეფექტიანი გადაწყვეტის ალგორითმებსა და მოდელებს, ხოლო კვლევის შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს ქვეყნის რესურსული პოლიტიკისა და სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ინოვაციური მოდელის შემუშავებას.

საჯარო მოხელეთა, უმაღლესი და საშუალო სკოლის პედაგოგთა და მეცნიერ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ჩამოყალიბება

როგორც ავღნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია ადგილობრივი ინტეგრალური რესურსები. წლების განმავლობაში საქართველო მცირერესურსიან ქვეყნად ითვლებოდა, რაც განპირობებული იყო მისი რესურსების რაოდენობრივი მახასიათებლების შედარებით საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების რესურსებთან.

რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის მონაცემებთან შედარებით საქართველოს რესურსები მნიშვნელოვნად მწირი იყო, თუმცა მანგანუმის, ნახშირის, აგრარული, სასმელი და მინერალური წყლისა და სატყეო რესურსებით საქართველო ყოველთვის მოწინავე პოზიციებს იკავებდა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რესურსული უზრუნველყოფის საკითხებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ ინფორმაცია, განსაკუთრებით უახლესი პერიოდის, ამა თუ იმ რესურსთან დაკავშირებით ვერც რაოდენობრივად და ვერც თვისობრივად ვეღარ პასუხობდა საერთაშორისო სტანდარტებს.

მეტიც, არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ იკითხება შესაბამისი სასწავლო კურსი - „რესურსმცოდნეობა“, ხოლო მეტ-ნაკლებად მსგავსი დისციპლინები, როგორცაა „ეკონომიკური გეოგრაფია“, „ბუნებათსარგებლობა“, „ეკოლოგიის საფუძვლები“ - სრულად ვერ უზრუნველყოფდნენ იმ ცოდნასა და ჩვევებს, რასაც შინაარსობრივად მუდმივად განახლებადი დისციპლინა „რესურსმცოდნეობა“.

აღსანიშნავია, რომ კურსის აქტუალობის ზრდა გასცდა მხოლოდ რესურსებზე ზოგადი წარმოდგენის ჩარჩოებს, რადგან შესაბამის ცოდნასა და კვალიფიკაციას საჭიროებს ქვეყნის სხვადასხვა უწყებასა და სამინისტროში მომუშავე საჯარო მოხელეთა უმრავლესობა, ასევე არასამთავრობო სექტორში დასაქმებულთა დიდი ნაწილი.

„რესურსმცოდნეობის“ საფუძვლების ცოდნა მიზანშეწონილია საფინანსო, ანალიტიკური და კონსალტინგური პროფილის კომპანიების თანამშრომელთა ნაწილისთვის, მათი სამსახურებრივი ამოცანებიდან გამომდინარე.

საშუალო და პროფტექნიკურ სასწავლებლებში აღნიშნული კურსის ადაპტირებული ვერსია ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეების საკუთარი ქვეყნის პოტენციალისა და შესაძლებლობების შესახებ ფართო ინფორმაციით აღჭურვას, რაც სასარგებლო იქნება მათი პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებისა და მომავალი პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დგება დასახელებული კატეგორიების წარმომადგენლებისათვის პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ორგანიზება, რაც წარმატებით და ახალი ტიპის სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო, ფინანსური და ტექნიკური საკმაოდ მოცულობითი დანახარჯების ეკონომიის გზით შეიძლება განხორციელდეს სტუ-ის ირ. ჟორდანის სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ბაზაზე, რომელიც უკვე 40 წელზე მეტია წარმატებით მუშაობს ხსენებულ თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გამოყენებითი ანალიტიკა და პროგნოსტიკა

წლების განმავლობაში ნებისმიერ ქვეყანაში ძალაუფლების განხორციელების კომპონენტებად მიჩნეული იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო და მასობრივი ინფორმაციის ინსტიტუტები. გლობალური განვითარების მიმდინარე ეტაპზე მათ კიდევ ორი - არანაკლებ გავლენიანი და უთუოდ გასათვალისწინებელი კომპონენტი დაემატა ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ანალიტიკური ცენტრების სახით.

ანალიტიკური ცენტრების ისტორია თითქმის 120-წლიან პერიოდს მოიცავს.

პირველად ტერმინი "Think Tanks" გამოიყენა ამერიკელმა ჟურნალისტმა ალენ უაითმა 1903 წელს თავის სტატიაში ჟურნალში „Saturday Evening Post“. მას შემდეგ, რაც კიდევ ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, ჯეიმს კირანმა გამოაქვეყნა სტატია გაზეთში „The New York Times“, სადაც იგი "Think Tanks"-ად მოიხსენიებს მრჩეველთა ჯგუფს, რომელიც ფრანკლინ რუზველტს დაეხმარა 1932 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებაში, "Think Tanks" უწოდებენ მრჩეველთა და ექსპერტთა ნებისმიერ გაერთიანებას, რომელიც ქმნის ახალ პროექტებს, გვთავაზობს ახალ იდეებს, ეძებს მრავალფეროვანი ამოცანების გადაჭრის გზებს.

ასეთი ანალიტიკური ჯგუფები (შემდგომში „ცენტრები“) ახორციელებენ ორიგინალურ კვლევით და საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს პოლიტიკოსებისა და საზოგადოებრივი აზრის მაფორმირებელი სტრუქტურების შემქმნელთა განათლებასა და კონსულტაციებს ფართო სპექტრის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და უსაფრთხოების საკითხებზე. გარდა ამისა, ისინი მოქმედებენ როგორც საზოგადოებრივი კონტროლის ინსტრუმენტი და, შესაბამისად, გავლენას ახდენენ საზოგადოების მიზნებისა და ღირებულებების ფორმირებაზე.

ანალიტიკური ცენტრების საქმიანობის ძირითადი სფეროებია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები, საერთაშორისო ურთიერთობები, ადამიანის უფლებების დაცვა, კულტუროლოგია, ეკოლოგია და სხვა.

გასული საუკუნის 70-ნი წლებისთვის ანალიტიკური ცენტრების რაოდენობა 150-ს არ აღემატებოდა. 2021 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტის ანგარიშში, რომელიც ადგენს და 2006 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიოს ანალიტიკური ცენტრების რეიტინგს, ფიგურირებს 6800-მდე ანალიტიკური ცენტრი, თუმცა რეიტინგი მოიცავს მხოლოდ წამყვან 176-ს.

ამავე დროს, განსაკუთრებით ბოლო 15-20 წლიან პერიოდში, მკაფიოდ გამოიკვეთა მოთხოვნილება მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროცესების კვალიფიციურ და ღრმა გაანალიზებასა და **პრაქტიკულად ღირებულ შეფასებებზე**.

ასეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია თვისობრივად და სტრუქტურულად ახალი ტიპის ორგანიზაციის - **„გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის“** ჩამოყალიბება, რომლის ძირითად პროდუქცია არა მხოლოდ ანალიტიკური კვლევების, არამედ **ანალიტიკური პროექტების** ფორმით იქნება წარმოდგენილი.

გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის დაფუძნება და ამოქმედება, ჩვენი აზრით, არსებითად შეუწყობს ხელს საქართველოს ოპტიმალურ განვითარებას მისი ინტელექტუალური რესურსების სრულყოფილი გამოყენებისა და რეპუტაციული პოტენციალის შემდგომი ამღლების საფუძველზე.

და ბოლოს კიდევ ერთი საჭირობოროტო საკითხის შესახებ. საქმე ეხება ძირითადი სტატისტიკური მონაცემების ობიექტურობას. საქსტატის მონაცემების მიხედვით, ეკონომიკურად აქტიური ადამიანის ე.წ. **„საარსებო მინიმუმი“** საქართველოში 2019 წლის ბოლოს შეადგენდა თვეში 187,6 ლარს, რაც ექსპერტების შეფასებით, 2,7-ჯერ (!) ნაკლებია მის ჭეშმარიტ ოდენობაზე და მაქსიმალური მომჭირნეობით ჩატარებული დაანგარიშებით 507 ლარის ფარგლებშია.

ჩვენი აზრით, ტერმინი „საარსებო მინიმუმი“ უნდა შეიცვალოს ტერმინით **„საცხოვრებელი მინიმუმი“**, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა პენსია, შემწეობა, საშუალო ხელფასი (რომლის დაანგარიშების მეთოდიც შორსაა ობიექტურობისგან), სხვადასხვა სფეროში დასაქმებულთა თვიური ანაზღაურება გამოანგარიშებული უნდა იყოს არა ლარებში, არამედ **„საცხოვრებელი მინიმუმის“** პირობით ერთეულებში. ასეთი ცვლილება, რა თქმა უნდა, ერთბაშად ვერ გამოიწვევს თოთქმის ერთი მილიონი პენსიონერისა და შემწეობის მიმღებ პირთა შემოსავლების გაზრდას, მაგრამ ეტაპობრივად განხორციელებად სამიზნე მაჩვენებლებად უთუოდ გამოდგება.